დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს ფრაქცია „ლელო თბილისისათვის“ წევრის ვახტანგ სურგულაძის

2021-2022 წლის ანგარიში

- **საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია**

  საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მონაწილეობა მივიღე 15 საკრებულოს სხდომაში 9სულ ჩატარდა 15 სხდომა), მივიღე მონაწილეობა 649 განკარგულების და 113 დადგენილების განხილვაში.

  როგორც გარემოს დაცვის კომისიის წევრმა საანგარიშო პერიოდში დავესწარი გარემოს დაცვის კომისიის 13 სხდომას (სულ ჩატარდა 13 სხდომა) , მივიღე მონაწილეობა 79 საკითხის განხილვაში.

  შესწავლილი საკითხები:

  - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (**სულ:** 67 პროექტი)
- „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

- სამუშაო შეხვედრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს საქალაქო სამსახურებთან
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (**სულ:** 2 პროექტი);
- ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში
- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკუთვნის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი
- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში
- შპს „თბილსერვის ჯგუფის" მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიშის მოსმენა
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში
- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი
- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარული დაცვის ზონის დადგენისა და

მართვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1-ლი ოქტომბრის №64-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში,
როგორც ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიამ წევრმა დავესწარი 11 კომისიის სხდომას (სულ ჩატარდა 11 სხდომა) განვიხილე 13 საკითხი.

შესწავლილი საკითხები:

მოქალაქეთა დამხარების გაცემის წესის შესახებ ცვლილებება.

ცვლილება „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის" მე-5 და მე-9 მუხლებში, რომელშიც შეიცვალა მოსარგებლეთა ქვეპროგრამაში ჩართვის პროცედურა. კერძოდ, ქვეპროგრამაში ვაკანტური ადგილის გაჩენისას, ქვეპროგრამაში მოსარგებლეთა ჩართვა ხორციელდება არა მიმწოდებელის მიერ ქვეპროგრამის განმახორციელებელთან წარმოდგენილი სიის შესაბამისად, არამედ მიმწოდებლის წერილის საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს წესით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. ქვეპროგრამაში ჩართვისას, პრიორიტეტი მიენიჭა იმ პირს, რომელმაც უფრო ადრე მიმართა მიმწოდებელს განცხადებით.

ცვლილება აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „გ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის" მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში. კერძოდ,ქვეპროგრამის ბენეფიციარების ლიმიტი გაიზარდა 175 ერთეულით, შესაბამისად ქვეპროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას 1375 ბენეფიციარის ნაცვლად მიიღებს თვეში არაუმეტეს 1550 ბენეფიციარი.

თბილისის ჯანმრთელი ქალაქების ევროპულ ქსელში გაწევრიანების ინიციატივის განხილვა.

„თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" თბილისის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-15 დადგენილებაში ცვლილება

ცვლილება ზემოთაღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესის" რამდენიმე მუხლში შევიდა. კერძოდ, მოქმედი რედაქციით, იმისათვის რომ მოსარგებლე შესაბამისი მედიკამენტით დაფინანსებულიყო, სიმსივნური კვანძი 2 სანტიმეტრზე მეტი უნდა ყოფილიყო. ახალი რედაქციით კი სიმსიმვნური კვანძი 2 სანტიმეტრისაც რომ იყოს დაფინანსება იმ შემთხვევაშიც მოხდება.

ასევე წესს დაემატა ახალი ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც საჭირო ინექციის შემთხვევაში - რეჟიმის უწყვეტობის დარღვევის დროს (მხოლოდ ოპერაციული ჩარევის შემთხვევაში) თუ ინფუზიებს ან ინექციებს შორის ინტერვალი 6 კვირაზე მეტია, მკურნალობა აღდგება საწყისი დოზით და გაგრძელდება ხელშემწყობი დოზით.

ქვეპროგრამა - მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების. სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული 18-დან 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით, ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდული საცხოვრისების მომსახურების დაფინანსება არამატერიალიზებული სახის ვაუჩერით ასევე, გათვალისწინებულია შემდეგი მომსახურებებით უზრუნველყოფა: ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენა, საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა, პროფესიული გადამზადება და დასაქმების ხელშეწყობა, ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა,ცნობიერების ამაღლება, სამოქალაქო და არაფორმალური განათლების დონის ამაღლება, ბენეფიციარის პირველადი სამედიცინო საჭიროებების მხარდაჭერა. ქვეპროგრამის მოსარგებლედ პირის აღიარების გადაწყვეტილებას იღებს „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების 40 სააგენტოს" რეგიონული საბჭო. ვაუჩერის ღირებულება ერთი ბენეფიციარისთვის შეადგენს თვეში 500 ლარს.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-14 დადგენილებაში ცვლილება

ახალი ქვეპროგრამის შესახებ, რომელიც ალკოჰოლური თრობის ან სხვა პრობლემების მქონე პირების თავშესაფრით უზრუნველყოფას მოიცავს.

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი ბენეფიციართა ჰოსპისში განთავსებას, საჭიროების შემთხვევაში მათთვის პირველადი დახმარების აღმოჩენას, კვებას, საყოფაცხოვრებო და პირადი ჰიგიენის ნივთებით, სანიტარულ მომსახურებას, საჭიროების შემთხვევაში,

სხდომაზე „თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ "საკრებულოს დადგენილების პროექტში შესატან ცვლილებაზე იმსჯელეს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, როგორც თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლელო თბილისისათვის' წევრმა მონაწილეობა მივიღე 8 სხდომაში, სადაც განხილული იყო ფრაქციის არსებული საკითხები: მოქმედების ტაქტიკა, ჩასატარებელი ღონისძიებების დაგეგმარება.

- **ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია.**
  საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩემს მიერ საკრებულოში იყო მიღებული 58 თბილისის მოქალაქე, განხილულ იქნა მოქალაქეების 62 წერილი. დახმარება გეწია 32 მოქალაქეს. ძირითადი პრობლემები დაკავშირებული იყო სამედიცინო დახმარების მიღებაში, დაზიანებული საცხოვრებლების რეაბილიტაციაში, უსახლკარო მოსახლეობის მერიის პროგრამაში მონაწილეობაში ინფორმაციის მიწოდებაში.

- **საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია.**

- განვახორციელე 9 გასვლა თბილისის უბნებში, სადაც ჩატარდა შეხვედრა მოსახლეობასთან, გაზიარებულ იქნა მათი პრობლემები და აღმოეჩინა შესაბამისი საკონსულტაციო და იურიდიული დახმარება.
- ჩავატარე ვიზიტი თბილისის ცხოველთა თავშესაფარში, სადაც გამოიკვეთა დაწესებულებაში არსებული სერიოზული პრობლემები. უშუალოდ მივიღე მონაწილეობა ცხოველდა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციების და თბილისის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს შეხვედრების ორგანიზებაში.

  ჩავატარე ვიზიტი თბილისის უსახლკაროთა თავშესაფარში და სადაც გავეცანი არსებულ პრობლემებს
- **სხვა სახის ინფორმაცია**

  ვარ საკრებულოს გენდერული საბჭოს წევრი. მივიღე მონაწილეობა საბჭოს 5 სხდომაში, სხვადასხვა ღონისძიებებში, რომელიც საბჭოს ეგიდით ჩატარდა (მარათონი, შეხვედრა მკერდის სიმსივნით დაავადებულ ქალებთან, საქართველოს პარლამენტის წევრებთან, ღონისძიებების დაგეგმვის პროცეს)

საკრებულოს წევრი

ვახტანგ ᲑᲣრგულაძე *(ხელმოწერა)*